№ 117

პარასკევი, 5 ივნისი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 117

პარასკევი, 5 ივნისი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მართა ბუჩუას ასული ნადირაძისა შვილებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას ძვირფასის ქმრის მღვდელ

## ანტონ ნადირაძისას

და სთხოვს მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზედ დასასწრებლად შაბ თს, 6 ივნისს, შორაპნის მაზრის სოფ. ქორმილაში. (1—1)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

## ბუნება და ცხოვრება

ილ. ალხაზიშვილისა

**ფასი 60 კაპ.**

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—7)

იბეჭდება და 15 თიბათვისათვის მზად იქნება გასასყიდად ახალი წიგნი:

## თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წერილი ზირველი

**მ ე გ ა ხ ლ ა ვ ა რ**-ისა.

წიგნი ეღირება 20 კაპ. წიგნების მაღაზიის პატრონებს ვთხოვთ, ეხლავე შეგვატყობინონ, რამდენის ცალის დაბარება ჰსურთ. ნაღდ ფულად წიგნი დაეთმობათ 12 კაპეიკად, კომისიით დაეთმობათ 20%. წინადვე დაბარება იმისთვის იქნება საჭირო, რომ ავტორი 20 თიბათვეს ტფილისიდგან გავა სოფლად.

ადრესი: „ივერიის" რედაქცია, შარაძეს. გარდაეცეს ბ-ნს მეგახლ ვარს. (10—უ.—2).

## „აღმოსავლეთის მაღაზია"

### იოსებ მერკვილაძისა

(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, № 4. სემინარიის პირდაპირ)

ახლად მივიღეთ **იაპონიის საუცხოვოდ დამზადებული** მრავალი **საქონელი** და ნამდვილი **ჩინეთის ფანზა** და **ჩესუნჩა** და სხვა აბრეშუმეული. აქვე ისყიდება **ჩვენებური დარაიები, შალები** და სხვა ნაწარმოები.

მაღაზიას აქვს **ქართული** (იმერული) **ტანისამოსის** სამაგალითო **სამკერვალო.** (10—88—5)

## მეაგარაკეთა საყურადღებოდ

**ქ. თელავში** ნადიკვარზედ მთელის ზაფხულის განმავლობაში (7 ს თიბათვიდგან 1 ს ენკენისთვემდის) **გაიცემა ქირით** სამი ოთახი, დიდის ბალკონით, სამზარეულოთი, საკუთარის ეზოთი, პატარა ხეხილიანის ბაღჩით, რომელშიაც არის წმინდა წყლიანი ჭა პირსაბანითა; მიეცემა სამზარეულო ავეჯეულობა, ქვაბებით, სააგარაკოდ საკმარისი სახლის ავეჯი და ჭურჭელი.

მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: Въ Телавъ, И. Зарапишвили. (15—უ.—11)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (წ)

ქართული თეატრი

(სათავად-აზნაურო)

შაბათს, 6 ივნისს 1898 წ.

**ქართული საერო ხორო, ალ. კავსაძის** ლოტბარობით, გამართავს

## კონცერტს

ოთხ განყოფილებად

პროგრამმა შევსებულია ახალის სიმღერებით, სხვათა შორის, ხორო შეასრულებს **„ფერხულს".**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

გამგე-ადმინისტრატორი ნ. გოცირიძე. (3—უ.—2)

## ვპისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროებას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567. (50—80—28).

### მთავრობის განკარგულებანი

დამტკიცებულ იქმნა ხარისხში ტფილისის გუბერნიის, დუშეთის მაზრის სასოფლო ექიმი ტიტულიარნი სოვეტნიკი ბროძელი.

დათხოვნილ იქმნა, თავისისავე თხოვნით, სიღნაღის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელე ზაქარია მენთეშაშვილი.

## ახალი ამბავი

⁂ 2 ივნისს კნ. ა. ა. ამილახვრის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა ტფილისის დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოების სამზრუნველოს საბჭოს. კრებას, სხვათა შორის, დაესწრო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი კ. პ. იანოვსკი. კრებამ დაადგინა: მომავალ წლიდგან საზოგადოების ყოველ სასწავლებელში შემოიღოს საერთო სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამმა; ორს უკანასკნელს წელს მოსწავლეთ ზედ-მიწევნით შეასწავლოს ხელ-საქმე, ჭრა, კერვა, ანგარიში და სხვა. საერო სასწავლებლების ინსპექტორის ვ. ნ. პავლოვის წინადადებისამებრ დადგენილ იქმნა მოსწავლეთ შეასწავლონ ისეთი ხელ-საქმე, როგორიც საჭიროა სულ უბრალო ცხოვრებისათვის.

⁂ ამ ჟამად ტფილისის თვით-მმართველობასთან მოლაპარაკება დაიწყო ერთმა უცხოეთელმა ამხანაგობამ, რომ ტფილისის ცხენის რკინის გზა ჩვენ მოგვეცით იჯარით 45 წლის ვადითაო. ამხანაგობა ჰკისრულობს იმას, რომ ყოველგვარ ანგარიშს გავუსწორებ ბელგიის უსახელო საზოგადოებას და შემდეგ ელექტრონით ვატარებ ცხენის რკინის გზის ვაგონებსაო. ამისათვის ამხანაგობა ითხოვს, რომ პირველად შემოსავლიდგან ხარჯი იქმნას აღდგენილი შესავსებლად და 6% აწ დახარჯულ ფულის სარგებლად გადაიდოს, და შემდეგ სანახევროდ იქმნას ხოლმე განაწილებული მოგება ქალაქსა და ამხანაგობას შორისო.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით დაიბეჭდა რუსულსა და ქართულს ენაზედ წიგნაკი: „ამერიკული ბამბა და მისი მოშენება ამიერ-კავკასიაში", მოკლე დარიგება ნ. პ. ტარატინოვისა. ქართულად თარგმნილია ი. მაჭავარიანის მიერ. ეს წიგნაკი ხალხს უფასოდ ურიგდება.

⁂ გზათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ რუსეთის ყველა რკინის გზებზედ ცხელი და ცივი წყალი მიეცეთ ხოლმე უფასოდ იმათ, რომელნიც ერთის ადგილიდგან გადასასახლებლად მიდიან მეორე ადგილასაო. ამ აზრით ყოველ სადგურზედ უნდა დადგმულ იქმნას განსაკუთრებული ბოჭკები. ცხელი წყალი უნდა დაამზადოს ბუფეტის პატრონმა და მსურველთ აძლიოს სადგურის მოსამსახურემაო.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა მაზრის უფროსებს: გამოუცხადეთ იმ გლეხთ, რომელნიც მეტივეობას მისდევენ, რომ ტივის მტკვრის ნაპირას დაყენებისათვის სამის საჟენის მანძილზედ კანონის ძალით არავის უფლება არა აქვს რაიმე გარდასახადი გარდაგახდევინოთო.

⁂ ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების ინსპექტორის ბ-ნის პავლოვის წინადადებისამებრ განზრახვა აქვთ მომავალ წელს განსაკუთრებული წიგნთ-საცავი დააარსონ ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებლის მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილების სესსია საქმეების განხილვას ქ. გორში 5 სექტემბრიდგან დაიწყებს და დაამთავრებს 5 ოქტომბერს.

⁂ ხელოსანთა საერთო კრებამ დაადგინა მუდამ წელს 500 მან. მოახმაროს 45 ობოლ ბავშვის აღზრდის საქმეს ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლებში.

⁂ სოფ. დიდი-ჯიხაიში, (იმერეთი). დიდის ხნის ნატვრა აგვისრულდა, რადგან უკვე დაგვიარსდა წიგნთ-საცავ-სამკითხველო. 27 მაისს მღ. დევიძემ აკურთხა წიგნთ-საცავის დარბაზი აუარებელის ხალხის თანადასწრებით. იმედია, ხალხი სამკითხველოში დაიწყებს სიარულს და დიდის ჯაფითა და შრომით ნაშოვნ ფულს აღარ გაჰფლანგავს დუქანში, რადგან ეცოდინება, რომ სამკითხველოში შეუძლიან თავი გაირთოს და ისია მოვნოს წიგნის კითხვით.

⁂ მეტად სამწუხარო ამბავი დატრიალდა იმერეთში რკინის გზის ლიანდაგზედ. მატარებელმა სამი კაცი იმსხვერპლა სამ ივნისის ღამეს. ერთი გვარად მეტრეველი სადგ. მოლითში, რომელსაც შეხტომა ნდომებია მატარებელზედ, მაგრამ ქვეშ მოჰყოლია და მატარებელს ზედ მუცელზედ გადაუვლია; მეორე არტია ხახალაშვილი სად. ბელაგორში, რომელსაც რკინის გზის ლიანდაგზედ დასძინებია და უცებ მისულ მატარებლისათვის ველარ გაუსწრია, და მესამე ვიღაც ბერძენი სად. შორაპანში, რომელიც შუაზედაა გადაჭრილი მატარებლისაგან.

⁂ 3 ივნისს ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოში ტფილისის მოქალაქე სამუილ პრიზბერგმა განაცხადა, რომ დუშეთის მაზრის გაბრიელ დიაკვიშვილის 11 წლის ბავშვი, რომელიც ჩემთან წაღების კერვას სწავლობდა, საცაღა დაიკარგაო.

⁂ 1 მაისიდგან 1 სექტემბრამდის უფროსს ნოტარიუსის კანცელარიაში მუშაობა იწყება 8 საათზედ და თავდება ნაშუადღევის 2 საათზედ. მთხოვნელთა მიღება დაიწყება 9 საათზედ და დასრულდება 12 საათზედ.

⁂ 3 ივნისს არსენალის ქუჩაზედ ხიდს ქვეშ ბავშვებმა თამაშობის დროს იპოვნეს ძონძებში გახვეული ფულით სავსე ყუთი და პატარა პარკი. ბავშვებს ყვილ-ხივილი შეუდგათ. ამ დროს ბავშვებს ქორივით დაეცა ვიღაცა, წაჰგლიჯა ხელიდგან ყუთი და მიიმალა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. კარდენახი,** (სიღნაღის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს სამის ვერსის მანძილზედ ქ. სიღნაღიდგან. არ იქნება სიმართლეს მოკლებული, თუ ვსთქვა, რომ კარდენახი, მახლობელ სოფლებთან შედარებით, გამოდის იმ სიბნელიდგან, რომელშიაც აგერ რამდენი ხანია იმყოფებოდა. ეს გარემოება არც საკვირველია: თვით მდებარეობა და ზოგიერთთა ახალგაზდათა მიმატება ბოლოს დროს ფართო გზას აძლევს წარმატებისას. სოფელში არსებობს სამინისტრო სკოლა, რომელშიაც სწავლობს საკმაო რიცხვი მოსწავლეთა, არსებობს აგრეთვე წიგნთ-საცავი, რომლის ბედ-იღბალი ჯერ-ჯერობით ისე სანატრელია, რომ კარგი იქნებოდა ასევე მოწყობილიყო სხვა ჩვენი მხრის წიგნთ-საცავნი, რომლებიც სახელით თუ არსებობს სადმე. სამკითხველოს როგორც დაარსებასა, აგრეთვე იმისს კარგად მოწყობაში თუმცა დიდი ღვაწლი მიუძღვით თ. აბხაზთ, მაგრამ ვეთილი საქმის თანამგრძნობლობაში არც აქაური დანარჩენი თავადნი არიან სასაყვედურონი. მაგრამ წინანდელ ქართველურ დაუდევრობის და „მრავალჟამიერის ცოდვები კარდენახელებს, როგორც სხვა ქართველებსაც, ბლომად აქვთ. მართალია, ხალხი სიღნაღის იქითა მხარისა დახსნილია ცოტად თუ ბევრად დეშოს წყალობით ჩარჩ-მევალეფაგებისაგან, მაგრამ აქეთა მხარის მცხოვრებთა ნაამაგარი, გამორჩენა და მოგება-კი სხვასა რჩება, ასე რომ მკვიდრნი თავიანთ მიწა-წყალზედ მარტო დღიურნი მუშანი არიან. ამიტომ დღესაც ისედაც ბევრ რიგად დაცემულს ხალხს ეზარგება შველა, ჩარჩების ხელიდგან გამოგლეჯა და რიგიანი ადებ-მიცემობა. ამ ორის წლის წინად აქეთ აღიძრა ლაპარაკი ქვემო-მაჩხაანისამებრ „დეშოს“ დაარსების შესახებ, ამათმა სურვილმა მიაღწია ქვემო მაჩხაანის დეშოს გამგეობამდის, რომელმაც საზოგადო კრებაზედ ბაასი ჩამოაგდო დეშოს განყოფილების დაარსების შესახებ იქითა მხარეს. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ეს გარდაწყვეტილება მარტო ქაღალდზედ დარჩა და კარდენახის და მახლობელ სოფლების მცხოვრებთა სურვილი სადათას მიდს მიეცა. ეხლა მაინც დროა ამ ზაფხულის კრებაზედ ს. ქვემო მაჩხაანში განაახლონ თავიანთი დიახ სანაქებო სურვილი, იქნება მოხერხდეს ჩვენსკენ დეშოს განყოფილების დაარსება. დროა აქაურმა ინტელიგენტებმაც დასდვან ქვემო-ქიზიყისამებრ ღვაწლი ბეჩავის ხალხის და თავიანთ თავის სასარგებლოდ, თორემ, შენი მტერი, უფრო-და-უფრო სიღატაკეში ჩავცვივით.

მოსავალს აქეთ ძალიან კარგი პირი უჩანს: მომეტებულად ვენახებს საუცხოვოდ ასხია. თუ არა ასტყდა-რა, მეგონია, ეხლა მაინც თავისუფლად ამოისუნთქებს სამის წლის მოუსავლობისაგან დატანჯული ხალხი.

მ. ბენაშვილი

## წერილი ქ. შუშადგან

დადგა გაზაფხული და ხალხმა დაიწყო დენა სამაზრო სამმართველოში, ყოველ დღე 40—50 მუშა-კაცი თხოულობს პასპორტს სამუშაოდ წასასვლელად სხვა-და სხვა ადგილას, გეგონებათ ხალხი გარდასახლებას აპირობსო. აქ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. სოფლის კაცი მიდის სხვაგან, ეგებ რასმეს გამორჩეს, ორიოდე გროში იშოვოს, სახლში რომ დარჩეს, რა გააკეთოს. ჩვენის გლეხის საქმე სულ სხვაა, ხვნა-თესვისა და მევენახობის მიმდევარია, მთელი წელი იმათ მისჩერებია, იმათი მაყურებელია, იმათ უნდა გამოჰკვებონ გლეხი, გაისტუმრონ მებატონე, მღვდელი და სხ. ჩვენებური გლეხი გაზაფხულზედ არსად მიდის სამუშაოდ, ძალიან კარგი გამორჩენის იმედიც რომ ჰქონდეს. ან როგორ წავიდეს, როგორ დაანებოს სახლ-კარს თავი სწორედ იმ დროს, როდესაც სახლში სამუშაო აქვს: ხვნა, თესვა, ფარცხვა, ვენახის შემუშავება და სხ. თქმა არ უნდა, ჩვეულებას, ხალხის ხასიათსა და განსხვავებულს ეკონომიურს წეს-წყობილებას ამ მოვლენაში დიდი ადგილი უძევს. ჩვენებური გლეხი უმეტესად შინა ზის; მძიმეა, ძნელად დაიძვრის ადგილიდგან, სხვაგან წასვლა ეზარება, შორს გზას ერიდება, შინ პური რომ არა ჰქონდეს საკვებად, მაინც თავში არ მოუვა შორს ქვეყანაში წასვლა, თავის ადგილი ენანება, ზედ დასტირის, ეშინიან სრულიად არ დავკარგოო. აქაური სომხის საქმე-კი სულ სხვაა, თავისის ქვეყნის სიღატაკე ძალიან კარგად იცის, აქედგან ბევრს არას გამოელის, სტოვებს სახლ-კარს დიდის ხნობით, დაწრწის, სცდილობს იშოვოს რამე, სახლს შეჰმატოს.

მკითხველმა იცის, რომ სომხები მთიან და კლდიან ადგილებში არიან დასახლებულნი. ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს გლეხკაცობას ძალიან ცოტა ადგილები შერჩინა ხელში; რაც მიუზომეს, ისიც ნახევარზე მეტი გამოუსადეგარი იყო. აი, სწორედ ამ უადგილობის გამო ხვნა-თესვას დიდი მნიშვნელობა არა აქვს ამათს ეკონომიურ ცხოვრებაში. მართალია, სომხები აქა-იქ სჩიჩქნის მიწას გვერდობებზედ, მაგრამ აქედგან დიდს სარგებლობას არ გამოელის. არც ერთს გლეხის ოჯახს იმდენი პური არ მოსდის, რომ მთელი წელიწადი ეყოს, გაყიდვას ვიღა ჰფიქრობს. ზედ დაუმატეთ ისიც, რომ უგზოობის გამო ძალიან გაძნელებულია სოფლებში მისვლა-მოსვლა, ყველაფერი ცხენებითა და ვირებით დააქვთ; ამის გამო აქ ხორბალი ყოველთვის კარგს ფასშია. გუთანი აქეთკენ არ იციან, ჰხნავენ მხოლოდ კავით, აბამენ ორს უღელს, ხან დახან სამსაც. თავისის მოყვანილობით ჩვენებურ კავს მოგაგონებთ, ბევრით არაფერში განირჩევა. სთესავენ უმეტესად გაზაფხულზედ, პურის გარდა მოჰყავთ აგრეთვე ქერი და ფეტვი.

ეს წელიწადი არა ჩვეულებრივი იყო ხალხისათვის. შარშანდელმა მოუსავლობამ და დიდმა ზამთარმა ძალიან შეაწუხა სოფელი: მარტის დამდეგამდის ძლივს ეყო საქონელს საზრდო, ეგონათ მალე გაზაფხული დადგებოდა, მაგრამ ჰაერმა უმტყუნა, ზამთარი გაგრძელდა, გაზაფხულმა დაიგვიანა და ხალხს ნახევარზედ მეტი მუშა და მწველელი საქონელი გაუწყდა, რაც გადარჩა, ისიც არ ივარგებს შემოდგომამდის, ისე დავარდა. აპრილში ფუთი ხორბალი ჰფასობდა 1 მან. 40 კ., ქერი—1 მან. 20 კ., ბზე 1 მან. 10 კ., ბევრგან მეტიც.

შუშას მაზრაში ძალიან ცოტა ტყეებია, ისიც ისე შორს და მიუვალ ადგილებშია (როგორც გამოჩენილი დუმინის ტყე), რომ ხალხს უძნელდება შეშის გამოტანა. აქაც ვირი ჰშველის. საერთოდ ვირს დიდი ადგილი უჭირავს შუშელ გლეხის ცხოვრებაში, სწორედ დაუფასებელი პირუტყვია, ამხანაგად გახდომია გაჭირვებულს ცხოვრებაში, შუშელი სწორედ წარმოუდგენელია უვიროდ, ამასთანავე არ შეიძლება ითქვას, რომ დიდის პატივით ექცეოდნენ.

ზოგიერთ სოფელში, სადაც ბუნება ხელს უწყობს, სადაც შესაფერი ადგილები მოიპოვება, სომეხს ვენახი გაუჩენია და კარგადაც აქვს მოვლილი. როგორც ეტყობა, ვაზის გაშენება აქ ახალი საქმე უნდა იყოს. ვაზის მოვლა და შემუშავება ჩვენებურია, ვაზი სარზედ არის აბმული. ვენახები მთის ფერდობებზეა გაშენებული და, რასაკვირველია, მათი მორწყვა შეუძლებელია. ვაზს არა ჰმარხავენ ზამთრობით, ღვინოს უპატიოდ აყენებენ; ზოგან კარგი ღვინოც (წითელი) იცის, როგორც მაგალითად სოფ. კარაკენდში. ჩვენ აქ არ ვამბობთ ვაკე ადგილებისას, სადაც ბევრი სოფლებია, გამოჩენილი თავის ღვინოებით, როგორც ს. აგდამი და სხ. ეს ადგილები ხომ თათრებისაა, ჩვენ-კი ჩვენ წერილში მხოლოდ მთიანი ადგილები გვაქვს მხედველობაში. სხვა დროს ჩვენ შეძლება გვექნება უფრო ვრცლად შევეხოთ მევენახობას შუშას მაზრაში და გამოვარკვიოთ მისი ეკონომიური მნიშვნელობა. მეტი ადგილი გლეხის ეკონომიურ ცხოვრებაში თუთის ხეს უჭირავს. ყოველი გამოსადეგი მიწა, ყოველი დაცემული და ვაკე ადგილი, რომლის მორწყვა შეიძლება, თუთის ხით არის დარგული. ზოგან მთელ თუთის ხის ტყეებს შეხვდებით. გლეხი დიდის გულ-მოდგინებით ეკიდება და ფაქიზად უვლის თუთის ხეს, მუშაობას არ აკლებს.

თუთის პლანტაციები ჩვენ შეგვიძლიან ორ ნაწილად გავყოთ: ერთი ნაწილი თუთისთვის (ნაყოფი) არის დანიშნული, სპირტსა ჰხდიან, მეორე ფურცლისთვის აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად. პირველი დანიშნულებისათვის, რასაკვირველია, რაც უფრო დიდი ხე გაიზრდება, მით უკეთესია, მეტს ნაყოფს მისცემს; ამიტომ ხეებს მაღლა უშვებენ და ტოტებს არა ჰკვეცავენ. ერთს დესეტინაზედ ადამიანს შეუძლიან გაზარდოს 100 ხე. წელიწადში სამჯერ მაინც დაბერტყავს თუთას. ხარჯი არა მოსდის-რა, დაბერტყავს, მოაგროვებს და მისცემს ადგილობრივს მექარხნეს. ქარხნები-კი საკმარისად მოიპოვება შუშას მაზრაში, ასე რომ გლეხს არ უძნელდება თუთის გასაღება; რაც მეტი მოუვა, მით უკეთესია, მუშტრის ძებნა არ უნდა. თუთა რომ შემოვა, მთელი სოფელი დიდი და პატარა, ბაღებში იკრიბება, მთელს დღეს იქ ატარებენ, ეს დრო ჩვენებური რთვლის მაგიერია. შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ თითო თუთის ხე მოსცემს ნაღდს შემოსავალს—1 მან. 20 კ. 1 მან. 30 კ., დღიური შეადგენს 60 მან., დესეტინა 120 მან. მთელი შუშას მაზრა 8 მილიონ გრადუსს სპირტსა ჰხდის.

რაც შეეხება აბრეშუმის ჭიას, არც ამას უნდა ეჭიროს უკანასკნელი ადგილი გლეხის ეკონომიურ ცხოვრებაში. ფურცლის მოსაყვანად საჭირო არ არის დიდი თუთის ხის გაზდა. ამგვარი პლანტაციები კაცის სიმაღლეზედ მეტი არ არის, სცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ხე გაზარდონ, ახლო-ახლო რგამენ, ხე სხვილი არ იზრდება, ნაყოფს არ ისხამს, ფოთოლი-კი სრული გამოაქვს. აქ ჩვეულებად არ არის მიღებული ჭიის თესლის შენახვა; თესლს ვაჭრები ურიგებენ ყველას, ვისაც-კი სურს აბრეშუმის ჭია იყოლიოს. თესლი კონსტანტინეპოლიდგან გადმოაქვთ, ტფილისის საბრეშუმო სადგურის თესლს ვერსად ჰნახავთ, ეჭვის თვალით უცქერიან. დასახლებულან აქა-იქ სოფლებში ვაჭრები, დაუყვიათ მთელი მაზრა რამდენსამე ნაწილად და ამგვარად მთელი აბრეშუმის ჭიის საქმე ხელში ჩაუგდიათ, ვაჭრები ურიგებენ გლეხებს ჭიის თესლს და ართმევენ ხელ-წერილს, რომ იმათ არ შეუძლიანთ პარკი სხვას მისცენ, ფასსაც წინადვე გადასწყვეტავენ (ფუთს —8—10 მან.), ე. ი. რაც პარკი მოუვა, გარდა $^{1}/_{10}$ ნაწილისა, რომელიც მემამულეს ეკუთვნის, მოვალეა თესლის დამრიგებელს მისცეს ფუთი 8—10 მან. ცხადია, საქმე უწესოდ არის დაყენებული და ისეთს სარგებლობას არ აძლევს ხალხს, რაც წარმოსადგენი იყო; აქ მხოლოდ რამდენიმე კაცი სარგებლობს.

პარკი, რაც-კი შემოდის შუშას მაზრაში, სხვაგან აღარ იგზავნება, ადგილობრივ ქარხნებს უნდება ძაფის გამოსაყვანად. აბრეშუმის ძაფის გამოსაყვანი ქარხნები ბლომად არის შუშას მაზრაში და იმგვარ ადგილებშია დაარსებული, სადაც იაფის მუშის შოვნა ადვილია, ე. ი. ღარიბ და საწყალ სოფლებში. ქარხნებში მუშაობენ მხოლოდ ქალები და ბავშვები, 7 წლიდგან დაწყებული. დღიური ფასი 6 კაპეიკიდგან 25 კ. ადის. მუშაობა იწყობა დილის 6 საათზედ, თავდება საღამოს $6^{1}/_{2}$ ს.

# ფელეტონი

### შიიტების დღესასწაული „შახსეი-ვახსეი“.

შიიტები ყოველ გაზაფხულობით იხდიან იმამ-ჰუსეინის დღეობას, რომელსაც უწოდებენ „შახსეი-ვახსეი“-ს. ეს დღესასწაული დიდად მნიშვნელოვანია იმათ სხვა დღესასწაულთა შორის და შიიტები დიდის მოწიწებით და აღტაცებითაც უხვდებიან. ამ დღესასწაულს დავესწარი ქ. ყაზახში (განჯის გუბ.), სადაც შიიტთა რიცხვი რამდენსამდე ათასამდე ითვლება, და არა მგონია ჩემს სიცოცხლეში დამავიწყდეს იქ ნახული შემაძრწუნებელი ამბავი. 11 მაისს, საღამო ჟამს, მეჩეთებიდგან გამოსულ მლოცველ-შიიტთა გუნდი გაუდგა გზას ერთს უგანიერეს, შუა ბაზარში მდებარე მეიდნისაკენ. წინ მიუძღოდათ ანთებული ჩირაღდნები, დოლები, რომელსაც რაღაც უცნაურად არახუნებდნენ და საერო ბაირაღი მათის წინასწარმეტყველის ალის ხელის გამოხატულებით. ყველას, დიდსა და პატარას, ხელში ეჭირათ ზოგს ხმალი, ზოგს ხანჯალი და ზოგს ჯოხები; ხელ-ჩართულები მიხტოდნენ გზა-გზა და გაჰყვიროდნენ „შახსეი-ვახსეი“-ო, ე. ი. „შაჰ-ჰუსეინო, ვაი ჩვენ, ჰუსეინო“, ალი შაჰი და სხვ. (ესენი შიიტების წინასწარ-მეტყველთა სახელებია). მლოცველთა უმრავლესობა გულგადეღილები და ზურგ-გატიტვლებულები იყვნენ, იცემდნენ საშინელის გატაცებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ხელს თავში და მკერდზედ და ეს ცემა მხოლოდ მაშინ შესწყდებოდა, დროებით, როდესაც მათი წინამძღოლი—მოლა ზარის ხმით ჩამოსძახებდა ლოცვებს. მლოცველები დაყოფილნი იყვნენ რამდენსამე ნაწილად და ყველანი სხვანაირად ასრულებდნენ სადღესასწაულო წესებს. მათ შორის უფრო შესანიშნავი იყო, ეგრედ წოდებული ლაიჯთა ნაწილი.

როცა ყველანი მოგროვდნენ მოედანზედ, მოლამ თავისებურად შეათამაშა ჰაერში თავისი კაკანა ხმა. ამ მოთქმაზედ საერთო ყვირილს „ჰუსეინ“-ს საზღვარი აღარა ჰქონდა. შემდეგ გაიმართა რაღაც, ჩვენებურის ფერხულის მსგავსი, ხელჩაკიდული თამაში (ხტუნვა) და გააჩაღეს მოედანზედ საოცარი ცეცხლი. ზოგიერთი მლოცველთაგანი, დაპირების თანახმად, გატიტვლებულ ზურგზედ კონა ჯაჭვს იცემდნენ, რის გამოც ზურგი წითელ ზაფრანას მიუგავდათ. ამ სახით შიიტები მთელი ორი საათი დახტოდნენ მოედანზედ და მკერდსა და ზურგს იბეგვამდნენ. მაყურებელთა რიცხვი აუარებელი იყო. როდესაც შიიტები მეჩეთებისაკენ დაიფანტნენ, ჩვენც თან გავყევით. მეჩეთში ყველანი დიდის პატივით მიგვიღეს და სკამები მოგვაწოდეს. ეს მეჩეთი ერთი უმდიდრესია და უკეთეს მცხოვრებელთათვის. მთელი მეჩეთი ძვირფასის ხალიჩებით არის მორთული, სამლოცველოს მხრით ჰკიდია ძვირფასს ჩარჩოებში ჩასმული, რაღაც, სპარსული ნაწერები, ამასთან იმავ მხრივ კედელი კიბესავით არის აყვანილი და წითელ ქსოვილით გადაფენილი, რომელზედაც აწყვია სამოვრები, კედლისა და პატარა მგვრალი სარკეები, ლამპრები და სხვა მრავალი სამშვენებელი ჭურჭელი და ნივთი. იქვე მარჯვენა კუთხეზედ სდგას მაღალი, კათედრის მსგავსი, ხალიჩა გადაფარებული საჯდომი მოლასთვის. მლოცველები ფეხ-მოკეცით დაეშვნენ ხალიჩით მოგებულს იატაკზედ. ზოგი მკერდზედ იცემდა, ზოგი თავში და ცხარის ცრემლით სტიროდნენ. როცა ეს გოდება შესწყდა, იმათ მოართვეს შარბათი და შემდეგ ფლავი. ფლავის ჭამა რომ გაათავეს, მოლა ავიდა თავისს მაღალ საჯდომზედ, ამაყად აათვალიერ-დაათვალიერა ძირს მჯდომი აუარებელი მლოცველი და მწუხარე ხმით, ჰირისუფლურად დაიწყო მოთქმა. მთელი მეჩეთი სმენათ იყო გადაქცეული და მხოლოდ დრო გამოშვებით ამ მყუდროებას საერთო გულ-საკლავი ტირილ-ქვითინი არღვევდა.

ამ გვარად შიიტები მთელი რვა დღე განუწყვეტლივ იკრიბებოდნენ მოედანზედ და მეჩეთებში. მერვე დღეს, ე. ი. ცხრამეტს მაისს, ჩვეულებისამებრ თავები უნდა დაეკეპათ იარაღით. დილის ექვსის საათიდგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორმეტს საათზედ სადილისთვისა და დასასვენებლად ერთი საათია დადებული. არც ერთი ქარხნის მესაკუთრე ადგილობრივ არას ცხოვრობს, უმეტესად ან ქ. შუშაში, ან სხვაგან ატარებს დროს, საქმე მინდობილი აქვთ უმეცარ და გაუნათლებელ ნოქრებს. რა წესი და რიგი უნდა სუფევდეს ამ ქარხნებში, ადვილად წარმოსადგენია, აქ სრული თავისუფლებაა. მეტი არ იქნება, რომ ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს ამ ქარხნებს და დაავალებდეს მაზრის ექიმებს თვალ-ყური ადევნონ თავ-მოყრილ მუშებს. იმის დასამტკიცებლად, ყურის-გდება რომ მეტი არ არის, ჩვენ აქ დავასახელებთ ყველა იმ სოფლებს, სადაც ქარხნებია, ქარხნების რაოდენობის აღნიშვნით: 1) ქ. შუშა—1, 2) სოფ. დაბალთი—1, 3) სიგნახი—1, 4) ჩენახჩი—2, 5) ყარაბულახ—1, 6) თალლარ—2, 7) თუღ—2, 8) გეში—1, 9) ბალუჯა—1, 10) ხაწაზახ—1, 11) ხანკენდი—1, 12) კირკიდჯან—1, 13) ქაიბალი-ქენდ—1, 14) ქიშლა-ქენდ—1, 15) ილის—1, 16) შუში-ქენდ—1. სულ 19 ქარხანა ჩამოვთვალეთ. ყოველ ქარხანაში მუშაობს არა ნაკლებ 80 სულისა. მაშ მთელს შუშას მაზრაში ქარხნის მუშებად გადაქცეულა არა ნაკლებ 1,600 ადამიანისა; ამათში უმეტესი ნაწილი ბავშვებია. გვგონია, ღირს, კაცმა ამათთვის იზრუნოს. მართალია, დათვალიერებული გვაქვს ყველა ქარხანა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან, დაახლოვებით მაინც, ვთქვათ, წელიწადში რამდენი ფუთი აბრეშუმის ძაფი გამოჰყავთ ქარხნებს ერთად: საანგარიშო წიგნები არსად არ არის მიღებული, მეორეც ისა, რომ, როგორც ვთქვით, საქმე უვიც კაცთა აქვთ ჩაბარებული, ესენი ან ტყუილს გეტყვიან, ან არა-და ვერას გაგაგებინებენ.

კონ. ვეზ—ლი

## რუსეთი

შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ პეტერბურგსა და ან მოსკოვში დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სახუროთ-მოძღვრო სასწავლებელი სამოქალაქო ხუროთმოძღვართა მოსამზადებლადაო. სასწავლებელს 3 წლის კურსი ექმნება თურმე.

— ვარშავაში მომავალ წლიდგან დაარსებულ იქმნება პოლიტეხნიკუმი იმპერატორის ნიკოლოოზ მე II სახელობაზედ. პოლიტეხნიკუმის პირველ კურსზედ განზრახვა აქვთ მიიღონ: 1) უმაღლესს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული და აგრეთვე ისინი, რომელთაც გარდახდილი ექმნებათ ფიზიკო-მათემატიკის ნახევარ კურსის ეგზამენი; 2) გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში (მე-VII დამატებითი კლასიანად) სწავლა-დამთავრებულნი და იმ დანარჩენ საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი, რომელთა სიაც თავის დროზედ იქმნება შედგენილი ფინანსთა სამინისტროს მიერ. ინსტიტუტში შესასვლელად უპირატესობა მიეცემათ პირველთ.

— განზრახვა აქვთ გაადიდონ დაბალ საბალოსნო სასწავლებლების პროგრამმა რუსეთის ისტორიის და გეოგრაფიის სწავლების შემოღებით. აგრეთვე აზრადა აქვთ შემოიღონ ლათინურ წერა-კითხვის სწავლება, რომ მოსწავლეთ ადვილად შეეძლოთ მცენარეულობის სახელების წაკითხვა და დახსომება.

## უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** ეხლა საბოლოოდ გამოირკვა, რომ ამას წინად სანტ-იაგოში მომხდარ შეტაკების დროს ესპანელნი ძალიან დამარცხდნენ და დაზარალდნენ, მაშინ როდესაც ამერიკელებს თითქმის არაფერი დაუკარგავთ, იმის გარდა, რომ მათი შვიდი, თუ რვა კაცი ტყვედ ჩაუვარდა ესპანელებს. ამერიკის ესკადრამ იმდენად დაანგრია და მიწასთან გაასწორა სანტ იაგოს ნავთსადგურის შესავალთან გამართული სიმაგრეები, რომ მათი აღდგენა და შეკეთება თითქმის შეუძლებელია. ზოგიერთი გაზეთი იმასაც-კი იუწყება, რომ ამერიკის ესკადრას ეხლა თავისუფლად შეუძლიან ნავთ-სადგურში შესვლაო. ამავე დროს ამერიკელი 5,000 მეომარი გადასხეს ბუიკირში, სანტ-იაგოდგან 6 მილის სიშორეზედ. გადასხმის დროს ჯარს იცავდა რამდენიმე სამხედრო გემი, საიდგანაც ნაპირზედ მყოფ ესპანელებს ყუმბარებს ესროდნენ. 26 მაისს, სროლაში მონაწილეობა მიიღო ათმა დიდმა გემმა, რომელთაც ყუმბარები ნავთ-სადგურის სიმაგრეებს და ბატარეებს დაუშინეს. ესპანელნიც პასუხს აძლევდნენ, მაგრამ მათი ტყვია ამერიკის გემებამდის ვერც-კი სწვდებოდა. სამის საათის სროლის შემდეგ ამერიკელებმა სრულიად გაანადგურეს სიმაგრეები და ბატარეები. ესპანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი მრავალია. თვით ნაპირზედაც, სადაც ამერიკელებმა ჯარი გადასხეს, ამ ჯარსა და ესპანელებს შორის გაცხარებული ბრძოლა მოხდა. რადგანაც ადმირალი სერვერი უმთავრეს ყურადღებას ნავთ-სადგურს აქცევდა, ესპანელთ ამერიკის ჯარი მხოლოდ მაშინ დაინახეს, როდესაც ეს უკანასკნელნი უკვე გადავიდნენ ნაპირზედ, სადაც მათ მეამბოხეთა რაზმიც მიეშველა. ამერიკის ჯარს შეებრძოლა გენერალი პანდო, რომელსაც სულ 2,000 კაცი ჰყავნდა. როდესაც დაზარალებულნი ესპანელნი სანტ იაგოში დაბრუნდნენ, ამერიკელებმა ბუიკირთან ერთი მაღლობი ადგილი გაამაგრეს და იქ დაბანაკდნენ. ეს ჯარი ფეხს არ მოიცვლის ამ ადგილიდგან, ვიდრე მას არ მოეშველება მეორე რაზმი, რომელიც 6,000 კაცისაგან შესდგება და რომელიც უკვე გაემართა ტამპიდგან სანტ-იაგოსაკენ.

— ამერიკაში დღეს ყველას პირზედ ლეიტენანტი გობსონი აკერია. ყველა იმის ვაჟკაცობას და მამაცობას აქებს. აქამდის ადმირალი დევეი იყო ამერიკელების სალაპარაკო, დღეს-კი გობსონი გახდა. ნიუ-იორკიდგან,— მაგალითად, იუწყებიან: „დღეს რომ არჩევანები მოხდეს, ახალგაზდა ლეიტენანტს გობსონს“, რომელმაც „Merimas“-ი ჩასძირა, უეჭველად რომელსამე დიდს თანამდებობაზედ აირჩევდნენ, ისე არიან ამერიკელები გატაცებულნი გობსონის საქციელით“. გობსონის გარდა გემზედ იყო: ორი ამერიკელი, ერთი ფრანგი, ორი ირლანდიელი და ერთიც ნემეცი. როდესაც გემი ნავთსადგურის შესავალს მიუახლოვდა ორსავე ნაპირიდგან ესპანელებმა ყუმბარები და ტყვიები დაუშინეს, მაგრამ, იღბალზედ, ამერიკელებს არც ერთი ტყვია არ მოხვდა. იმ ადგილას, სადაც უნდა გემი ჩაეძირათ, გობსონმა უბრძანა თავის ამხანაგებს ნავში ჩამსხდარიყვნენ, მაგრამ ნავი აღარსად აღმოჩნდა, რადგანაც ყუმბარა მოჰხვედროდა და სრულიად გაენადგურებინა. ამერიკელები არ შედრკნენ, ხელად ორი თუ სამი ფიცარი გადააბეს, პატარა ტივი გააკეთეს და იმაზედ დასხდნენ. როდესაც ყველაფერი მზად იყო, ლეიტენანტმა გობსონმა ნალმი ააფეთქა და თითონაც ამ პატარა ტივზედ გადახტა. მამაცმა ამერიკელებმა ჯერ თავიანთის ესკადრისაკენ დააპირეს წასვლა, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ ნაპირიდგან გამოსროლილ ტყვიებს ცოცხლები ვერ გადაურჩებოდნენ, უკან მიაბრუნეს ტივი და პირდაპირ ესპანელებისაკენ გაემართნენ. ესპანელები აღტაცებაში მოვიდნენ გობსონისა და იმის ამხანაგების საქციელით და მათ დიდის ქება-დიდებით მიიღეს თავიანთი მოწინააღმდეგე. ადმირალმა სერვერმა იმ წამსვე კაცი გაუგზავნა ამერიკელების ესკადრის უფროს ადმირალ სამპსონს და შეუთვალა, რომ გობსონი და ზღვაოსნები შვიდობიანად გადარჩნენ და ამ ჟამად ჩვენს გემზედ არიანო. სამპსონმა ასეთის გულკეთილობისათვის სერვერს წერილით დიდი მადლობა გადაუხადა...

— „Phil. Record“-ი იუწყება, რომ ინგლისის ელჩმა პოუნიფოტმა ამ რამდენისამე დღის წინად მიჰმართა შტატების პრეზიდენტს და ჰკითხა, რა პირობით შეგვიძლიანთ ზავი დასდოთ ესპანიასთანაო. პრეზიდენტმა მაკ-კილნეიმ მაშინვე მინისტრები მოიწვია და ამ საგნის შესახებ მოელაპარაკა; შემდეგ ინგლისის ელჩს გადასცა, „ამერიკა იმ შემთხვევაში მოსპობს ომს და ესპანიას შეურიგდება, თუ ეს უკანასკნელი კუნძულ კუბას თავისუფლებას მიანიჭებს და პორტო-რიკოს ამერიკას დაუთმობსო.

— ესპანიის ჟურნალ-გაზეთებში ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ ფილიპეს კუნძულების მცხოვრებელთა გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ. თითქმის ყველანი ერთხმად გაიძახიან, რომ მთავრობა უეჭველად როგორმე უნდა დაეხმაროს მათაო. ხალხს აღარაფერი აბადია, დღეში რამდენიმე კაცი იხოცება შიმშილისაგან და მთავრობა-კი ყურსაც არ იბღერტავსო. გარდა ამისა ჟურნალ-გაზეთები ურჩევენ მთავრობას ცვლილება შემოიღოს და საერთოდ რაც შეიძლება მალე მოაწყოს ფილიპეს კუნძულების შინაური საქმეებიო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწერენ გაზეთები, ეს კუნძულები ხელიდგან გამოგვეცლებაო.

## დამაკვირდი

სიყვარულისა თვინიერ შეუძლებელ არს წარმართება ერთისაცა საქმისა კეთილისა.

ილარიონ ქართველი

* * *

ცხოვრებაჲ, ვითარცა ყვავილი ველთა, წარმავალ არს და დაუდგრომელ.

წმ. შუშანიკ

* * *

შიშმან განაქარვნის გმონი სოფლისანი.

ვახტანგ გორგასლანი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ყველამ კარგად უწყის, რამდენი ხალხი იღუპება სიმთვრალისაგან. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც, მაგალითად, ინგლისში, სტატისტიკის მოწმობით, გარდაცვალებულთა უმრავლესობა საიქიოს გამგზავრებულა მაგარის სასმელების მოჭარბებულად ხმარებისა გამო. განათლებულმა ქვეყანამ დიდი ხანია ამ სენს ყურადღება მიაქცია. ათასს გვარს საშუალებას იგონებენ იმის მოსასპობად: აარსებენ განსაკუთრებულ საავადმყოფოებს, თავ-შესაფარებს, უკითხავენ ლექციებს, წიგნებს, ჰმართავენ ლოთებისათვის წარმოდგენებს და სხვა. ეხლა ერთი ახალი საშუალებაც გამოუგონიათ ლოთობის მოსასპობად. ბერლინში ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოებას დაუვალებია თავისის წევრებისათვის, რომ მათ სწრაფ გადამღებ ფოტოგრაფიის შემწეობით გადაიღონ ხოლმე სურათი ყველა იმ ლოთისა, რომელსაც ქუჩაში, ან დუქანში შეხვდებიან. შემდეგ ამ სურათს გამოფხიზლებულ ლოთს აჩვენებენ. ხშირად ყოფილა თურმე ისეთი მაგალითი, გამოფხიზლებულ ლოთს თავისი საზიზღარი სახე რომ დაუნახავს, პირობა დაუდვია, ამის შემდეგ მაგარ სასმელს ერთს წვეთსაც აღარ მივიკარებო.

* * *

ისეთი ხალხი და ქვეყანა არსად არ არის, სადაც ქრთამებს არ იღებდნენ, მაგრამ, როგორც გაზ. „Зак. Обоз.“ იუწყება, ქრთამი ისე არსად ყოფილა გავრცელებული, როგორც სპარსეთში. ქრთამი და მოსყიდვა ამ ქვეყანაში იმდენად არის თურმე გავრცელებული, რომ ამ საქმეს ხალხი ბოროტებათა და უსინიდისობად აღარც-კი სთვლის. სპარსეთში ყველა მოხელე, დაწყებული უბრალო დარაჯიდგან დიდ ვეზირამდე, ქრთამს იღებს. მხოლოდ უკანასკნელ დროს სპარსეთის შაჰმა მუზაფერ-ედინმა მიაქცია ყურადღება ამ მავნე სენს და მოიწადინა იმის აღმოფხვრა. ამ შემთხვევაში მუზაფერედინი სრულიად არა ჰგავს თავისს მამას წინანდელს შაჰს ნასრ-ედინს, რომელიც საშინელი ქრთამის ამღები ყოფილა თურმე. ნასრ-ედინი უფულოდ ადგილს არავის არ აძლევდა, მინისტრობასაც ფულით არიგებდა თურმე. ერთხელ ზამთარში, მგზავრობის დროს, შაჰსა და იმის მხლებლებს გზა და-

---

მოედანზე ტევა აღარ იყო; განუწყვეტლივ ჩამოდიოდნენ სათვალ-სეიროდ ახლო-მახლო სოფლებიდგან შიიტების ქალები, ჩადრში გახვეულნი და სუდარაში გახვეულ მიცვალებულს მოაგონებდნენ ადამიანს. საათის რვა იქნებოდა, როდესაც შიიტები გრძელ და თეთრპერანგებით მორთულები ჩვეულებრივის ამბით მოვიდნენ მოედანზედ. წინ მოუძღოდათ ორი ცხენი, სამგლოვიაროთ შავებით დაბურულები და სპარსულ ყაიდაზედ მოკაზმულები; ზედ უნაგირზედ ორსავე ცხენს ორ-ორი ხმალი ჰქონდა ჯვარედინად მიკრული, ხმლების წვერებზედ თითო ბროწეული იყო წამოცმული. (ცხენები, როგორც გარდმომცეს, ალიას და ჰუსეინას ცხენებს ნიშნავდენ და ბროწეულები-კი, როგორც მრავალ-მარცვლოვანი, ალიას და ჰუსეინის აუარებელს ჭრილობას) შემდეგ რამდენსამე პატივცემულს კაცს ალის გვამის აღმნიშვნელი, განგებ გაკეთებული თოჯა მოჰქონდათ. მნახველს ნამდვილი კაცის გვამი ეგონებოდა, ისე მშვენიერად იყო მოწყობილი. თავი და ორივე ხელები მოჭრილი ჰქონდა, ტანისამოსი, თითქოს სისხლით იყო მოსვრილი და ფეხებზედ ნამდვილი რუსული ჩექმები ეცვა, თუმცა ეს უკასკნელი ჩემის აზრით, სინამდვილეს ჰღალატობდა. ალიას გვამის შემდეგ რაღაც სამგლოვიარო ეტლის მგზავსი შავის შალებით გადახურული ფიცრები მოჰქონდათ, რომელზედაც 10—12 წლის ყმაწვილი იდგა, ხელში სპარსულად ნაწერი რვეული ეჭირა და ხმა მაღლა ლოცულობდა.

მოლამ მოედანზედ შეაჩერა მლოცველები, ხელი მიიშვირა ალიას გვამისაკენ და თავისებურად დაიწყო მოთქმა, თითქოს სტირისო. ეს იყო ნიშანი თავის კეპვის დაწყებისა. ამ დროს მორთეს მლოცველებმა საშინელი ქვითინი და, თითქოს გრძნობა დაკარგულებმა, დაიწყეს ხტუნვა და ყვირილი „შახსეი-ვახსეი-“ო. აუარებელ ხმალ-ხანჯალს ჰაერში პრიალი გაჰქონდა. ამას მოჰყვა თავების კეპვა და ზურგზე ჯაჭვების ცემა. ზოგს ისე უხვად მოსჩქეფდა თავიდგანა და სხვა ჭრილობებიდგან სისხლი, რომ მთელი ტანისამოსი სისხლში ჰქონდა ამოწუმპული; ზოგს მეტის მეტის სისხლის დენისაგან გული უწუხდებოდა და დედამიწაზედ ეცემოდა. ზოგს თუმცა თვალ-პირში ჩასდიოდა სისხლი, მაგრამ, მაინც არ იშლიდა და განაგრძობდა ამ საშინელ მოქმედებას. ისეთებიც ერივნენ, რომლებსაც გონება სრულიად დაჰბნეოდათ და სრულიად გაუფრთხილებლად იცემდნენ თავში ხმალ-ხანჯალს. ამათ პოლიცია თვალ-ყურს ადევნებდა და დაუყოვნებლივ ართმევდა იარაღს, თუმცა ისინი საკუთარს სულს უფრო ადვილად დაუთმობდნენ, ვიდრე იარაღს. იმან უფრო გამაოცა, რომ 8—10 წლის ბალღებიც-კი იკეფავდნენ თავებს და ყოველისფერში სცდილობდნენ დიდებისათვის წაებაძათ. ერთს მამას კი თავისი პატარა ძუძუ-მწოვარა შვილისათვის, რომელიც იქვე ხელში ეჭირა, პატარა დანით დაეჩხვლიტა თავი და საწყალ ბავშვს სისხლით ევსებოდა თვალ-პირი. ერთის სიტყვით, ადამიანს ნამდვილი სტოკჰოლმის აბანო წარმოუდგებოდა ამ გარემოების დანახვაზე.

შიიტების ამ გვარ მეტის-მეტ ფანატიკურ ჩვეულებას სასურველია, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიექცეს და ბოლო მოეღოს.—თუარადა, საერთო მოედანზედ, ხალხის წინ, მაინც აეკრძალოთ ამ ჩვეულების აღსრულება, როგორც ტფილისსა, განჯასა და სხვა ქალაქებში, სადაც მხოლოდ მეჩეთშია იგი ნება დართული. შარშან ამ „შახსეი-ვახსეის“ დღესასწაულზედ თურმე ყაზახში ერთმა შიიტთაგანმა ისე დაიჭრა თავი, რომ მეტის-მეტის სისხლის დენისაგან სული დალია. ეს აქაურს ბრალმდებელს გაეგო და სცდილიყო მკვდრის გვამი ეპოვა, რომ ჯეროვანი ოქმი შეეყენებინა და კუთვნილებისამებრ გარდაეცა, მაგრამ შიიტებმა მკვდარი ისე გააპარეს და სადღაც დაჰმარხეს, რომ მთავრობამ ვერა გაიგო-რა.—ვინც ამ დღესასწაულში ჭრილობის გამო სულს დალევს, იმას, შიიტების აზრით, მაჰმადის სამოთხე ეღირსება და შიიტები-კი წმიდანთა შორის ჰრიცხავენ ასეთს კაცს.

ამბროსი მეგრი

ჰბნევოდათ და ერთ გლეხის ქოხში შესულან. წასვლის დროს შაჰს მიუმართავს ღარიბ სახლის-პატრონისათვის და უთქვამს: „აბა ეხლა რას მომცემ, რომ მე პატივი გეცით, შენს სახლში შემოვედით“. საწყალს გლეხს ერთად ერთი ძვირფასი ნივთი ჰქონია—რუსული ოქროს 15 მანეთიანი, ამოუღია და მიუცია.

## შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ ბ-ნ პეტრე ნაცვლიშვილისაგან, ჯავახეთის ახალქალაქიდგან, 80 მან. სათავად-აზნაურო სკოლის სასერგებლოდ. ეს ფული შემოსულა წარმოდგენიდგან, რომელიც გაუმართავთ სცენის მოყვარეებს 24 მაისს. საერთო შემოსავალი ყოფილა 102 მან. 45 კაპ., დახარჯულა—22 მან. 45 კ. დარჩენილა ნაღდად 80 მან. ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდავეცით.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 ივნისი

**პეტერბურგი.** სასოფლო-სამეურნეო საბჭოს საგანგებო სესსიამ მესამე სხდომის დროს 30 ხმის უმეტესობით 8 ხმის წინაალმდეგ უარ ჰყო ის წინადადება, რომ შემოღებულ იქმნას სავალდებულო სამუშაო წიგნაკები ყოველგვარ სოფლის მუშაობისათვის.

**ვაშინგტონი.** ზღვათა სამინისტრომ შეიტყო, კამარის ესკადრა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მას არ შეუძლიან ზღვაში გასვლაო.

**მოსკოვი.** 2 ივნისს მოვიდა მოსკოვში ბუხარის ემირი. ემირი აქ 4 დღეს დაჰყოფს.

**ნიუ-იორკი.** მაიმანერიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ პოლკოვნიკმა გაუნტინგენსმა გადასწყვიტა თავი გაანებოს ადგილს, რომელიც ამერიკელებმა წინად საბანაკოდ დაიჭირეს, რადგანაც სხვა ჯარი არ მოეშველა და შეიტყეს კიდეც, რომ მახლობლად ესპანელთა ჯარია. ბანაკი ამიტომ გადატანილ იქმნა კორაკის ძირში, ნავთ-სადგურის მახლობლად, რომელსაც სამხედრო გემები იცავენ.

**მადრიდი.** მტერი დაეცა ესპანიის ჯარს ტუკურან-დინეო-მარაკუთტში, მაგრამ უკუქცეულ იქმნა: მოუკლეს მათ 36 კაცი. ხოლო ესპანელების მხრივ მოკლულ იქმნა 7 და დაჭრილ—18 კაცი.

**ბუხარესტი.** როგორც ნამდვილის წყაროებიდგან იუწყებიან, მეფე პეტერბურგში ივლისის გასულს გაემგზავრება. მეფეს თან უთუოდ სტურდზა გაჰყვება.

4 ივნისი

**პარიჟი.** პალატა. ბურჟუამ გაჰკიცხა მთავრობის პოლიტიკა. ტრუილომ უსაყვედურა მელინს იმისათვის, რომ მან რესპუბლიკელნი გაანაწილა. მელინმა უპასუხა და გაახსენა ის ამბავი, რომ რადიკალებმა მოინდომეს ხელი შეუშალონ ყველა რეფორმების განხორციელებას. შემდეგ მელინმა დახმარება სთხოვა რესპუბლიკელებს და განაცხადა, პალატის გადაწყვეტილებას ნდობით ველიო. შეტანილ იქმნა რამდენიმე ფორმულა სხვა საქმეზედ გადასვლის შესახებ. მელინმა მოიწონა რიბოს ფორმულა, რომელიც ასეა შედგენილი: „პალატამ, მოიწონა რა მთავრობის განმარტებანი და გადაწყვიტა რა ისეთ პოლიტიკას დაადგეს, რომელიც რესპუბლიკანელთა ერთობაზედაა დამყარებული“ და სხვა. მემარჯვენეთ წინაალმდეგობა განაცხადეს. საშინელი აღელვებაა. რიბომ შეაქო მელინი და გაჰკიცხა რადიკალები იმისათვის, რომ მათ ხელი შეუშალეს ნაყოფიერ ერობას. კასანიაკმა უსაყვედურა მელინს, იმისათვის, რომ იგი მემარჯვენეთ განშორდა. მელინმა მიუგო, რომ მემარჯვენეთათვის დახმარება არასოდეს არ მითხოვიაო. ბრისონმა ჰკითხა, სწყვეტთ თუ არა კავშირს მემარჯვენეთაო და სთხოვა პალატს ასეთ პოლიტიკას ნუ განაგრძობთო. ტრუილიომ ურჩია პალატას კაბინეტის პოლიტიკას დაენდე და მიიღე ის ფორმულა, რომელიც იწონებს იმ პოლიტიკას, რომელსაც კაბინეტი ორის წლის განმავლობაში ადგაო. მელინი წინაალმდეგი იყო ამ ფორმულისა, პალატამ 294 ხმის უმეტესობით 271 ხმის წინააღმდეგ უარ ჰყო იგი. რადიკალებმა მოითხოვეს, რომ რიბოს ფორმულა ორ ნაწილად იქმნას გაყოფილი: პირველი, რომელიც იწონებს მთავრობის განმარტებას, შეწყნარებულ იქმნა 295 ხმის უმეტესობით 273 ხმის წინააღმდეგ; მეორე ნაწილი ფორმულისა: „პალატამ, გადაწყვიტა რა შემოიღოს სადემოკრატო რეფორმების პოლიტიკა, რომელიც დამყარებულია რესპუბლიკანელთა ერთობაზედ“,—შეწყნარებულ იქმნა 527—5. ანრი რიკარმა ურჩია პალატას რიბოს ფორმულას შემდეგი სიტყვები მიუმატოს: „და დაემყარა რა მხოლოდ რესპუბლიკანელთა უმეტესობას“. მელინი წინაალმდეგი იყო ამ დამტკიცებისა, რომელიც, მიუხედავად ამისა, შეწყნარებულ იქმნა 295—246. პალატა საშინლად აღელვდა. სოციალისტებმა ყვირილი დაიწყეს: „თავი გაანებეთ სამსახურსაო“! შეუდგნენ ხმის მოკრებას იმ ფორმულის მისაღებად, რომელიც მელინმა მოიწონა. ამ ფორმულის მომხრე 284 კაცი აღმოჩნდა, წინაალმდეგი—272. კრება დაიშალა შემდეგი კრება ორშაბათს იქნება.

მინისტრებს მოლაპარაკება ჰქონდათ ელისეის სასახლეში. მელინმა აცნობა ფორს, რომ კაბინეტი სამსახურს თავს ანებებსო ფორმა შეიწყნარა მელინის თხოვნა.

**ნიუ-იორკი.** უკვე გავიდა ტამპიდგან ზღვაში 35 სატრანსპორტო გემი. ამ გემებს 11 სამხედრო ხომალდი გაჰყვა.

**პარიჟი.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ანარქისტს ეტიევანს.

**ნიუ-იორკი.** გვანტანამოდგან მოსული დეპეშა იუწყება: „ამერიკელები აქამდის იმარჯვებდნენ, მაგრამ დღეს გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, რადგანაც ჯარი მოიქანცა განუწყვეტელის ბრძოლით ესპანელებთან, რომელნიც მალ-მალ ესხმიან თავს. ჯარს დიდს დახმარებას ამერიკის სამხედრო გემები უწევენ; ესპანელები ბანაკს ყოვლის მხრიდგან შემოერტყნენ. მეამბოხეთ კვირას მრავალი ტყვია დაუშინეს ამერიკელებს, რომელთაც ძლივს მოახერხეს თავის შეფარება“.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა მან. კ. | გარიგებისა მან. კ. |
|---|---|---|---|
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 217 3/4 |
| 4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100 1/4 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 286 1/2 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | 248 | — „ | — „ |

## წერილი რედაქციის მიმართ

„წ. კ. გ. ს.“ წევრთა კრებაზედ, როდესაც ბასსი სესაკის სკოლის საქმეებს შეეხო, მე ვთქვი: „ეს საქმე ჯერ გამორკვეულიარ არის და ამიტომ დღევანდელ კრებას მის განსჯა არ შეუძლიან. მაგრამ რადგან ჟურნალ „კვალში“ „წ. კ. გ. ს.“ განჩხრებიდგან ამოკრებილი და შეკოწიწებული სიტყვებით აწერილი იყო სკოლაში მოსამსახურეთა უთანხმოება და ერთს მათგანს, სახელდობრ ინსპექტორს, ბოროტ-მოქმედებაც-კი ჰბრალდებოდა, საწერო გამგეობამ გამოაცხადოს კრების წინაშე,—რომ იმ საბუთებით, რომელნიც ხელთა აქვს დღეს გამგეობას, არა სჩანს, რომ ბ-ნს ს. ყიფიანს რაიმე ბოროტ-მოქმედება ჩაედინოს, და მათ თავიდგან ააცილოს ის ბრალდება, რომელიც მას „კვალმა“ დასდო“.

„ივერიის“ მე-116 №-ში კი ისე გახლავთ მოყვანილი ჩემი სიტყვები, თითქოს მე ბ-ნი ს. ყიფიანი გამემტყუნებინოს.

წევრი „წ. კ. გ. ს.“ ი. მაჩაბარიანი

—

ამას წინად „ივერიის“ ერთ ნომერში დაბეჭდილი იყო ბ-ნ ვანო ქიქინაძის წერილი, რომლითაც ის საზოგადოებას აგებინებდა ხიმშელების გაჭირვებას ცუდის გზების გამო. ხიმში (რაჭის მაზრაშია) რომ მოსაწონი და კარგი გზები მართლა არ არის, ამას არც მე უარ ვყოფ, მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ ამ გზების სიცუდესადა უვარგისობას ბ-ნი ქიქინაძე ჩემს დაუდევნელობას აწერს, ეს სწორედ შემცდარი აზრია. მართალია, მე აქაური მამასახლისი ვარ, მაგრამ რა ვუყოთ? მამასახლისი მაშინ იქნება დამნაშავე, რომ ამ საქმეს ყურადღება არ მიაქციოს და მზრუნველობა არ გაუწიოს, თორემ თუ-კი არაფერი გაუვა, რა ჰქმნას? მამასახლისი რომ შეუძლებელს შეიძლებდეს და წყალსა და ნიაღვარს დაიმორჩილებდეს, მაშინ არც მე მომცემდნენ მამასახლისობას. ხიმშის გზა, რომელსაც ბ-ნი ქიქინაძე გამოუწვევია სალაპარაკოდ, შესდევს ერთ ნაკადულს—„პეპელას“. ეს პეპელა თუმცა პატარა, უჩინო ნაკადულია, მაგრამ როცა ადიდდება, დაგვიფაროთ ღმერთმა! ნაკადული კი არა, მოზრდილი მდინარეც ვერ შეედრება, ისეთი გაგიჟება იცის. ამიტომ თუმცა დიდი ყურადღება მაქვს ამ გზაზედ მიქცეული, მაგრამ ყოველი შრომა და ჯაფა ფუჭად მიდის. დიდიხანი აჰ არის, რაც მამასახლისადა ვარ და არა ერთხელ მიფიქრია ამ გზის გაუმჯობესება, მაგრამ არა ეშველა-რა: დღეს რომ ძლივს ვაი-ვაგლახით და დიდის გაჭირვებით გააკეთებ, ხვალ ჩამოუვლის პეპელა და შენს ერთისა და ორის კვირის ნაშრომ-ნაჯაფავს ერთს საათს აოხრებს და აანადგურებს. უკანასკნელი აზრიღა დამრჩენია, რომ ამ გზას სულ თავი დავანებოთ და სხვა ახალი გზა გავიყვანოთ, მაგრამ, საუბედუროდ, არც ეს არის ადვილი გადასაწყვეტი: ჯერ ერთი, ახალის გზისთვის უნდა გაიჭრას იმისთანა ზვრები, რომლებიც მორწყულია აქაურის გლეხების სისხლითა და ოფლით და, სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ამ მხრივაც არ დაუჯდება ის სოფელს იაფად, მაგრამ უფრო სამწუხარო და სავალალო ის გახლავთ, რომ ისიც დიდის მუშაობისა და დავი-დარაბის შემდეგ მალე „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“-ს გვათქმევინებს: ზვავ-მეწყრები მუდამ იმის საკეთებლად ბარ-ნიჩბით ხელში დგომას მოგვთხოვს და ეს მაყოყმანებს; თორემ, სხვა რომ არა იყოს-რა, ეს გზა ჩემთვისაც ძლიერ საჭიროა, რადგან მეც თითონ ხიმშელი ვარ და დიდს გაჭირვებას ვითმენ ცუდის გზის გამო.

დათა ბენდიანიშვილი

## სასარგებლო ცნობანი

რკინის გზის საპასაჟირო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორე მცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ქობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.


# განცხადებანი

!ერიდეთ არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ცვიმოლის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრიუნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—16)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები: საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა. . . . . | | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია . . . . . . . | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა . . . . . | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა . . . . . | „ | 70 |
| საველის მცველნი გოგებაშვილისა . . . . | „ | 20 |

1) **РУКОВОДСТВО** для учителей и учительницъ къ преподаванію по книгѣ

**„РУССКОЕ СЛОВО“,**

იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, გადასწორებული და შევსებული, ფასი ყდიანი წიგნისა სამი აბაზი, უყდოდ აღარ იყიდება. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 48 კაპეიკად. წიგნი მოწონებულია მთავრობისაგან ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებელთა ბიბლიოთეკებისათვის კავკასიაში.

2) **ОЧЕРКЪ СРАВНИТЕЛЬНОЙ ГРАММАТИКИ РУССКАГО И ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКОВЪ,**

იაკობ გოგებაშვილისა, ფასი ერთი აბაზი, ვინც ათს ან მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. ეს უკანასკნელი წიგნი მთლად ჩართულია პირველის ბოლოში და ამიტომ მყიდველმა პირველისამ არ უნდა იყიდოს მეორე. საწყობი ორივე წიგნისა არის ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. (6—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Іюня 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.